ოქმი:**ო63. 6326078001**
თარიღი:**19/03/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის

სხდომის

**ო ქ მ ი N3**

სამტრედია 18 მარტი, 2026 წელი**.**

2026 წლის წლის 18 მარტს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომა.

**სხდომას ესწრებოდა:** მერაბ უღრელიძე, თენგიზ ცაგურია, გიორგი გაგუა, ემზარ კრავეიშვილი, მიხეილ კვანტალიანი, მანანა სირბილაძე, მერაბ თევზაძე, შალვა მეფარიშვილი.

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მერიიდან შემოსული 2026 წლის 26 თებერვლის წერილობითი მომართვის განხილვის შესახებ.

**/მომხსენებელი: მერაბ უღრელიძე/**

2. გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 26 თებერვლის წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

**/მომხსენებელი: მერაბ უღრელიძე/**

3. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად, (8 ხმით) დამტკიცებული იქნა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

***1. <u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u>*** სხდომის თავმჯდომარემ, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 26 თებერვლის*** N 62-622605738 წერილობითი მომართვა, საიდანაც ირკვევა, რომ **სს „ლიბერთი ბანკი"-მა** (საიდენტიფიკაციო ნომერი-203828304), როგორც სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციულმა ბანკმა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში უნდა განათავსოს ბანკომატი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერიმა მოგვმართა თხოვნით, საკრებულომ განიხილოს და დაამტკიცოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) პირველ სართულზე არსებული 1.0 კვ.მ ფართის სს „ლიბერთი ბანკი"-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი-203828304) უზუფრუქტის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''..

საკითხი განიხილა საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ სს „ლიბერთი ბანკი"-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი-203828304), ბანკომატის განთავსებისათვის, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) პირველ სართულზე არსებული 1.0 კვ.მ ფართი.

- ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. №6–ში მდებარე შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.027) პირველ სართულზე არსებული 1.0 კვ.მ ფართის, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 1 (ერთი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 8 წევრმა

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (8 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

***2. <u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u>*** სხდომის თავმჯდომარემ, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს ინფორმაციის სახით გააცნო, გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 26 თებერვლის წერილობითი მომართვების შესახებ. საკითხი ეხება, მერის 2025 წლის 16 დეკემბრის, 2026 წლის 8, 22 და 28 იანვრის წერილობით მიმართვებზე პასუხს. კერძოდ, წარმოდგენილია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტის მიერ მომზადებულ ვიზუალურ საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნებს შემდეგ პიროვნებებზე:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგორწღვაში მცხოვრები მოქ. ქრისტინე ძიგუას საკარმიდამო ნაკვეთის და საცხოვრებელი სახლის არსებული მდგომარეობის შესახებ.

2.სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოჩინებულში მცხოვრები მოქ. ლადო ზაქარეიშვილის საკარმიდამო ნაკვეთის და საცხოვრებელი სახლის არსებული მდგომარეობის შესახებ.

3.სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ კორმაღალში მცხოვრები მოქ. ლაშა მიქაძის საკარმიდამო ნაკვეთის და საცხოვრებელი სახლის არსებული მდგომარეობის შესახებ.

4.სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გორმაღალში მცხოვრები მოქ. ოთარ შათირიშვილის საკარმიდამო ნაკვეთის და საცხოვრებელი სახლის არსებული მდგომარეობის შესახებ.

აღნიშნული დათვალიერების შემდეგ გამოვლენილია რიგი ხარვეზები, რის შესახებაც ეცნობა მუნიციპალიტეტის მერიას. შესაბამისი ღონისძიებები უნდა გატარდეს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვის შედგენილი პროექტების მიხედვით.

***დაადგინეს:*** ინფორმაცია, გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 26 თებერვლის წერილობითი მომართვების შესახებ, მიღებულია ცნობად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა ამოწურულია.

***სხდომის მდივანი: /ბეჟან გოგია/***

მერაბ უღრელიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია-
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი